ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2020 წლის I კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 1 321,3 ათ. ლარი, ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის იყო 874,1 ათ. ლარი საიდანაც სამ თვეში გაიწერა 633,5 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის I კვარტლის გეგმამ შეადგინა 1 954,8 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2020 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 1 321,3 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 1 401,9 ათ. ლარი (106%); - აქედან ქონების გადასახადის გეგმა 30,5 ათ. ლარი - ფაქტი -5,8 ათ. ლარი; დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 848,4 ათ. ლარი - ფაქტი 1 040,1 ათ. ლარი (123%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 408,0 ათ. ლარი - ფაქტი 284,6 ათ. ლარი (70%); სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 9,6 ათ. ლარი - ფაქტი 14,0 ათ. ლარი (146%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 6,0 ათ. ლარი - ფაქტი 25,0 ათ. ლარი (416%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოვიდა 5,9 ათ. ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 2,4 ათ. ლარი - ფაქტი 0,9 ათ. ლარი (38%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 1,5 ათ. ლარს ფაქტი 6,6 ათ. ლარი (440%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 9,9 ათ. ლარი - ფაქტი 14,8 ათ. ლარი (149%); შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 0 (0%); არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზებიდან) შემოვიდა 15,4 ათ.ლარი (დანართი N2).

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 1 954,8 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 1 312,1 ათ. ლარი (67%) აქედან:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 475,4 ათ. ლარი - ფაქტი 445,9 ათ. ლარი (94%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 112,7 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 110,2 ათ. ლარი (98%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 339,8 ათ. ლარი - ფაქტი 315,2 ათ. ლარი (93%); სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა 17,5 ათ. ლარი - ფაქტი 15,1 ათ. ლარი (86%); ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,5 ათ. ლარი - ფაქტი 5,5 ათ. ლარი (100%).

ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმა 868,4 ათ. ლარი - ფაქტი 449,6 ათ. ლარი (52%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 73,4 ათ. ლარი - ფაქტი 39,1 ათ. ლარი (53%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 40,6 ათ. ლარი - ფაქტი 39,0 ათ. ლარი (96%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 109,1 ათ. ლარი - ფაქტი 68,0 ათ. ლარი (62%);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტი 10,0 ათ. ლარი (100%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 45,0 ათ. ლარი - ფაქტი 43,7 ათ. ლარი (97%);
- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 0,8 ათ. ლარი - ფაქტი 0,6 ათ. ლარი (75%);

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 9,6 ათ. ლარი - ფაქტი 8,5 ათ. ლარი (88%);

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 138,9 ათ. ლარი - ფაქტი 58,3 ათ. ლარი (42%);

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია გეგმა 150,7 ათ. ლარი - ფაქტი 0;

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 66,6 ათ. ლარი - ფაქტი 63,0 ათ. ლარი (95%);

- სოფლის პროგრამის მხარდაჭერა გეგმა 12,0 ათ. ლარი - ფაქტი 12,0 ათ. ლარი (100%);

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გეგმა 181,6 ათ. ლარი - ფაქტი 104,5 ათ. ლარი (57%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება გეგმა 30,0 ათ. ლარი - ფაქტი 3,0 ათ. ლარი (10%);

დასუფთავება და გარემოს დაცა გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 105,9 ათ. ლარს, ფაქტი 97,5 ათ. ლარი (92%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 87,0 ათ. ლარი - ფაქტი 87,0 ათ. ლარი (100%);

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება გეგმა 15,0 ათ. ლარი, ფაქტი 6,6 ათ. ლარი (44%);

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები გეგმა 3,9 ათ. ლარი - ფაქტი 3,9 ათ. ლარი (100%);

განათლება: სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 57,2 ათ. ლარი - ფაქტი 51,7 ათ. ლარი (90%);

- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა 94,2 ათ. ლარი - ფაქტი 14,4 ათ. ლარი (15%);

- საჯარო სკოლების ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 83,1 ათ. ლარი - ფაქტი 32,6 ათ. ლარი (39%);

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 159,6 ათ. ლარი - ფაქტი 124,2 ათ. ლარი (78%). აქედან:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობის გეგმა 34,0 ათ. ლარი - ფაქტი 29,2 ათ. ლარი (86%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 8,6 ათ. ლარი - ფაქტი 8,5 ათ. ლარი (99%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 9,6 ათ. ლარი - ფაქტი 8,5 ათ. ლარი (88%);

- კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 27,9 ათ. ლარი - ფაქტი 25,7 ათ. ლარი (92%);

- მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები გეგმა 14,4 ათ. ლარი - ფაქტი 11,3 ათ. ლარი (78%);

ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 15,9 ათ. ლარი - ფაქტი 14,2 ათ. ლარი (89%);

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 8,2 ათ. ლარი - ფაქტი 7,5 ათ. ლარი (91%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 10,8 ათ. ლარი - ფაქტი 10,6 ათ. ლარი (98%);

- რელიგიის ხელშეწყობა 20,0 ათ. ლარი - ფაქტი 0;

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გეგმა 10,2 ათ. ლარი - ფაქტი 8,9 ათ. ლარი (87%).

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 111,1 ათ. ლარი - ფაქტი 96,0 ათ. ლარი (86%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 11,6 ათ. ლარი - ფაქტი 5,0 ათ. ლარი (43%);

- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 99,5 ათ. ლარი - ფაქტი 91,0 ათ. ლარი (91%) (დანართი N3, N4).

ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი გაიხარჯა **წინა წლებში აღებული ვალდებულებებიდან,** საქართველოს მთავრობის განკარგულება N1326 10.06.2019წ. არტუანის უბანში (ნინო ჯაფარიძის სახლიდან ებრაელთა სასაფლაომდე, გოგი ჯაფარიძის სახლის თავიდან ბოლთის ფერდობებამდე) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია 5,0 ათ. ლარი და ქ. ონში ვახტანგ VI (მდინარე რიონის მარცხენა სანაპირო) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია 0,1 ათ. ლარი. საქართველოს მთავრობის განკარგულება N2577 31.12.2018წ. სოფელ ბარი-მრავალძლის მისასვლელი გზის ასფალტირება (III ეტაპი) 24,4 ათ.ლარი. საქართველოს მთვრობის განკარგულება N1213 15.06.2017წ. სოფ. ნაკიეთში მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. შარდომეთში მარცხენა სანაპიროზე და სოფ. უწერაში მინერალურ წყალ ნაპერწკალასთან გაბიონის მოწყობის სამუშაოებზე გაიცა 4,8 ათ. ლარი. საქართველოს მთავრობის N13 18.01.2019წ. განკარგულებით ონის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის გახარჯული იქნა 13,1 ათ. ლარი;

საკუთარი თანხებით შესრულებული იქნა **წინა წლებში აღებული ვალდებულებებიდან** სოფელ ბარი მრავალძლის გზის ასფალტირება 14,7 ათ. ლარი **წილობრივი მონაწილეობა,** არტუანის უბანში (ნინო ჯაფარიძის სახლიდან ებრაელთა სასაფლაომდე, გოგი ჯაფარიძის სახლის თავიდან ბოლთის ფერდობებამდე) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი მონაწილეობა 0,4 ათ. ლარი და ქ. ონში ვახტანგ VI (მდინარე რიონის მარცხენა სანაპირო) სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი მონაწილეობა 4,7 ათ. ლარი და ქ. ონში დ. აღმაშენებლის ქ.N40 არსებული შენობის სარემონტო სამუშაოზე გაიხარჯა 6,7 ათ. ლარი.

2020 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის განკარგულება N2630 18.12.2019წ. გახარჯული იქნა შესაბამის პერიოდში ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა (II ეტაპი) 82,4 ათ. ლარი, ქ. ონში არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია (II ეტაპი) 85,1 ათ. ლარი, სოფელ სორის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია 20,1 ათ. ლარი და სოფელ ქვემო ბარში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია 44,6 ათ. ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის განკარგულება N2752 31.12.2019წ. გაიხარჯა 11,6 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება N13 18.01.2019წ. და სოფელ ღებში საჯარო სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოებზე გაიხარჯა 14,4 ათ. ლარი და საქართველოს მთავრობის განკარგულება N27 09.01.2020წ. მოსწავლეების ტრანსპორტირებზე გაიხარჯა 19,5 ათ. ლარი.

მიმდინარე წელს საკუთარი თანხები გაიხარჯა ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ტექნიკური მომსახურებაზე 10,0 ათ. ლარი, ქ. ონში არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია (II ეტაპი) წილობრივი დაფინანსება 4,5 ათ. ლარი, ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა (II ეტაპი) წილობრივი დაფინანსება 4,3 ათ. ლარი, სოფელ სორის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია წილობრივი დაფინანსება 1,1 ათ. ლარი და სოფელ ქვემო ბარში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია 2,3 ათ. ლარი, დასუფთავება და მასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე 87,0 ათ. ლარი, თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდით სამუშაოზე 39,0 ათ. ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წილობრივი დაფინანსება ქ. ონში ამხანაგობა "კახაბერ 7"-ის საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაიხარჯა 8,5 ათ. ლარი, ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყუროდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის მომსახურებაზე 3,9 ათ. ლარი, ქ. ონში არსებული

გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის, ხე-ბუჩქოვანი მცენარეების შეძენა-დარგვისა და თანმდევი მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვა 6,6 ათ. ლარი, ქ. ონში მუნიციპალიტეტის მერიის ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოებზე 50,0 ათ. ლარი და საინჟინრო საზედამხედველო მომსახურებაზე გაიცა 63,0 ათ. ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანამონაწილეობით გაიხარჯა 0,4 ათ. ლარი.

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა 2,6 ათ. ლარი, კერძოდ: 1574 ლარი ქ. ონში აღმაშენებლის ქ. N40-ში მდებარე (მუნიციპალიტეტის მერია) შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის, 1050 ლარი ქ. ონში აღმაშენებლის ქ. N40-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის და აღმაშენებლის მოედანი N6-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისათვის.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.04.2020წ.) ნაშთი შეადგენდა 963,9 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 357,8 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 606,1 ათ. ლარს.

შემსრულებელი: /ვალერიან გობეჯიშვილი/

/თინათინ ბროლაშვილი/